

პროფ. ნუგეზა გაგნიძე

„ლოდინის ციხე-კოშკი“ და „კაკალუ“ გივი მარგველაშვილის რომანში *კაპიტანი ვაკუში. წიგნი პირველი. გერმანიაში*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული წარმომავლობის გერმანულენოვანი მწერალი, ფილოსოფოსი და ჯაზმენი გივი მარგველაშვილი (1927-2020) განსაკუთრებული მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში. შემოქმედმა, რომელმაც ორი ტოტალიტარული რეჟიმის სისასტიკე საკუთარ თავზე იწვინა, სულიერი სიმშვიდე „წიგნის ორ ყდას შორის“ იპოვა და პოსტმოდერნისტული მანერით მოგვითხრო ნანახისა და განცდილის შესახებ. *კაპიტანი ვაკუშის* შვიდი ტომი, რომელთაგან მხოლოდ სამია დაბეჭდილი, სწორედ მწერლის მიერ განვლილი გზის შესახებ გვიამბობს და, ამავდროულად, მისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებების მხატვრულ განსხეულებას წარმოადგენს.

კაპიტანი ვაკუში, იგივე ვახუშტი, გივი მარგველაშვილის ტექსტების მთავარი გმირი, მისი ალტერ ეგოა. „ლოდინის ციხე-კოშკს“, ანუ ვართბურგს, მწერალი უწოდებს ემიგრანტი მშობლების სამოთახიან ბინას ბერლინში. ცნობილია, რომ ისტორიული ვართბურგი (Wartburg), უმშვენიერესი ციხე-სიმაგრე, ტიურინგიაში, აშენდა 1067 წელს და 1999 წლიდან შეტანილია იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში. ვართბურგის ციხე-სიმაგრე გადმოჰყურებს ისტორიულ ქალაქ აიზენახს. ეს ის ქალაქია, სადაც მარტინ ლუთერმა (1483-1546) *ახალი აღთქმა* თარგმნა და სადაც იოჰან სებასტიან ბახი (1685-1750) დაიბადა. ციხე-სიმაგრე ხელოვანთა და ლიტერატორთა შეკრებებისა და პაექრობის უმნიშვნელოვანეს ადგილი იყო დიდი ხნის მანძილზე. სწორედ მის სახელს უკავშირდება შუა

საუკუნეებში ცნობილი „პოეტთა პაექრობები“ ან „ვართბურგის ბრძოლა“, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი გერმანულენოვანი ლირიკოსები (მინეზინგერები), თიურინგიის საგრაფო კარის რაინდული კულტურის ტრადიციების ერთგული მსველნი ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე (1170-1230) და ვოლფრამ ფონ ეშენბახი (1170-1160/1180). ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ამბები შემდგომში თავისი რომანის – *ჰაირიხ ფონ ოფტერდინგენი* – თემად გამოიყენა გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთმა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა ნოვალისმა (გეორგ ფილიპ ფრიდრიხ ფონ ჰანდერბერგი, 1772-1801). ამ ნაწარმოებში განასხეულა მან იენის რომანტიზმის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები და შექმნა ისეთი აღზრდის, ანუ სულის რომანი, რომლის მთავარი იდეა საკუთარ თავზე ამალღებაა. ავტორი მიჰყვება ტრადიციული აღზრდის რომანის გზას და ორიგინალურად წარმოგვიდგენს „ცისფერი ყვავილის“ მაძიებელი რომანტიკოსი ხელოვანის სულიერ ევოლუციას. გივი მარგველაშვილი კი პოსტმოდერნისტულ ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპებს განასხეულებს თავის ავტობიოგრაფიულ რომანში *კაპიტანი ვაკუში. წიგნი პირველი. გერმანიაში* და ქმნის ემიგრანტი ბიჭის ისეთ მხატვრულ სახეს ნაციონალ-სოციალიზმის დიქტატურის პერიოდში, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანია და პოულობს კიდევ მას ისევე როგორც მამისეულ ვართბურგში, ა„კაკადუშიც“, სადაც ჯაზის მოყვარული პიპოები სასწაულებს ახდენენ.

გივი მარგველაშვილი თითქოს არ არღვევს აღზრდის რომანის ესთეტიკას და გვიჩვენებს ვაკუშის სულიერ ევოლუციას, მაგრამ, ნაწარმოები ანტიღზრდის რომანს უფრო ჰგავს. ისევე როგორც ოსკარ მაცერატი გიუნტერ გრასის *თუნუქის დოღში* ვაკუშიც აპროტესტებს იმ რეალობას, რომელშიც მას ცხოვრება მოუხდა. ტოტალიტარულმა რეჟიმებმა მისი აღზრდა-განვითარება და ცხოვრებისეული გზა არაერთხელ შეცვალა.

ვართბურგს ქართულ ენაზე სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით, იგი ლოდინის ციხე-სიმაგრეს ნიშნავს (warten – მოცდა, მოლოდინი, die Burg – ციხე-სიმაგრე). *კაპიტანი ვაკუშის* პირველი ნაწილის მთარგმელი კარლო ჯორჯანელიც ქართულ

ტექსტშიც ვართბურგს ლოლინის ციხე-კოშკს უწოდებს. მართალია, ტექსტის ქართულ ვერსიაში სიტყვა ვართბურგის შემოტანას ექნებოდა გარკვეული ხიბლი, მაგრამ მის „ლოლინის ციხე-კოშკად“ გადმოტანასაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველი მკითხველისა და მკვლევრებისთვის. მას მივყავართ მწერლის ჩანაფიქრის გააზრებამდე: ერთი მხრივ, ტიტე მარგველაშვილი ნამდვილად მოლოლინის რეჟიმში ცხოვრობდა ბერლინში. მას არასოდეს დაუკარგავს იმედი, რომ სამშობლოში დაბრუნდებოდა, რაც რომანშიც შესანიშნავად ჩანს. მეორე მხრივ, „ლოლინის ციხე-კოშკი“, სადაც მამა იყო ოჯახით „გამაგრებული“, ქართველ ემიგრანტთა, მწერალთა, ხელოვანთა თავშესაფრის ადგილს წარმოადგენდა. აქ გამართულ ცხარე დისკუსიებსა და დებატებს ბოლო არ უჩანდა, სახლი არ ლაგდებოდა, რადგან ოჯახი სამშობლოში დაბრუნების განუწყვეტელ მოლოლინში იყო.

დამლაგებელი ქალები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ილაჯი განწყვეტილი ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ, რადგან ეს სახლი ხომ სახლი არ იყო, არამედ ციხე, სადაც მამამისი დღე და ღამე სანერ მანქანას ტყვიამფრქვევით აკაკანებდა, ხოლო ხანდახან საპატიო ბათქებიც ისმოდა მისი სამშობლოს, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის და ა.შ. სადიდებლად (მარგველაშვილი, 2005: გვ. 39).

ამ ციხე-სიმაგრეში ვაკუუმს თავისი პატარა გერმანული კუნჭული ჰქონდა. როცა მამის სამოთახიან ბინაში დროდადრო ემიგრანტი თანამემამულენი მოდიოდნენ და ცხარედ კამათობდნენ სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის სამომავლო პერსპექტივებზე, ბიჭი თავის პატარა გერმანულ კუთხეში მიიყუთებოდა, სადაც, უცხო გარემოს (მშობლიურ ქართულს) გაქცეული თავს დამოუკიდებლად გრძნობდა. მოგვიანებით საქართველოშიც, თბილისშიც შექმნა მწერალმა პატარა ვართბურგი, სადაც მამის მსგავსად ტყვიამფრვევით აკაკანებდა ჯერ საბეჭდ მანქანას, შემდეგ კომპიუტერის კლავიატურას, ქმნიდა დიდ პოსტმოდერნისტულ სამყაროს მთავარი პერსონაჟით ვაკუში და გერმანიაში დაბრუნების იმედს არ კარგავდა.

გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იანი წლების დასაწყისში გიმნაზიელ გივი მარგველაშვილს თავი ბერლინელ ბიჭად მიაჩნდა, მაგრამ

ნაციონალ-სოციალიზმის სულისკვეთებით გაუღწეოთ გერმანულ რეალობაში მისი ადგილი არსად იყო. ჰიტლერის ახალგაზრდული ბანაკიდანაც კი გამოაძევეს ის იმის გამო, რომ მეგობრებს თავის საყვარელ ჯაზის ალბომებს ასმენინებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ვაკუში ნაციონალ-სოციალიზმის დიქტატურის მონინააღმდეგე ახალგაზრდების (Swing-Jugend) წრეში აღმოჩნდა და ბერლინის ბარებსა და ლამის კლუბებს სტუმრობდა; ტულიო მობილიას ხელოვნებით აღტაცებული, შესანიშნავად ცეკვავდა და ტკბებოდა თავისუფლების იმ გემოთი, რომელიც ჯაზს, განსაკუთრებით კი დიქსილენდურ სამყაროს, მოჭარბებულად აქვს.

მუსიკა, კერძოდ კი ჯაზი, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გივი მარგველაშვილის არა მარტო ცხოვრებაში, არამედ შემოქმედებაშიც. მარადიული უცხო და ემიგრანტი საქართველოსა და გერმანიაში ხშირად აღნიშნავდა ინტერვიუებსა და პირად საუბრებში, რომ გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან იყო დიქსილენდური¹ მუსიკით გატაცებული. მასთან იგი ორი-სამი წლით უფროსმა მეგობრებმა დააკავშირა და იმხანად ძალიან კარგი ფირფიტებიც ჰქონდა. მოსწავლეობის პერიოდში, ისევე როგორც კითხვა, ჯაზიც მისთვის თავშესაფარი აღმოჩნდა. რადგან არ ესმოდა ის ენა, რომელზეც მამა და მათი ხშირი სტუმარი ქართველი ემიგრანტები ლაპარაკობდნენ, ამიტომ დაენათა გერმანულენოვან წიგნებს. ასევე არ ესმოდა მას ნაციონალ-სოციალისტური დიქტატურის არსი და

¹ ინგლისური სიტყვა დიქსილენდი აშშ სამხრეთ შტატების საერთო სახელწოდებას წარმოადგენს. და ისა ამავედროულად სახელია 1910-იან წლებში წარმოშობილი საესტრადო ორკესტრებისა, რომელიც შედგება ორი საქსოფონის, ორი საყვირის, ორი ტრომბონის, ერთი ტუბისა და დასარტყმელი საკრავებისაგან. აშშ-ს სამხრეთში წარმოშობილი კლასიკური ჯაზის ამ ერთ-ერთი ნაირსახეობის (ნიუორლეანული) ანსამბლების შემსრულებლები თეთრკანიანები იყვნენ და ბაძავდნენ ძველ ჯაზმენებს.

გივი მარგველაშვილის *კაპიტანი ვაკუშის* პირველ წიგნს ქვესათაურად ჰქვია „დოიქსილანდში“ („In Deu-xiland“). დოიქსილანდი მწერლისთვის გერმანიაა, დოიქლანდია (კარლო ჯორჯანელისეული თარგმანის ქვესათაურიც არის *გერმანიაში*), სადაც მან ბავშვობა და თინეიჯერობის პერიოდი გაატარა. როგორც ცნობილია, გივი მარგველაშვილი სიტყვებით თამამის დიდოსტატია. ამ თამამის მიღმა კი დგას ავტორი უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილებით, ფენომენალური სამწერლო ნიჭითა და უმაღლეს ხარისხში აყვანილი კაცთმოყვარეობით. ამდენად, ვფიქრობთ, რომ დიქსილენდსა თუ დოიქსილენდში იგულისხმება სრულიად დასავლეთი. ცხადია, გერმანიაც, რადგან „კაკადუ“ ბერლინში ის ადგილი იყო, სადაც ნაციონალ-სოციალიზმის დიქტატურის პერიოდშიც კი ასრულებდნენ და ისმენდნენ ჯაზს თავისუფლებას მოწყურებული გერმანელები და სასწაულებრივად გადარჩენილი „აუსლენდერები“ (უცხოელები).

მუსიკას შეაფარა თავი. სასტიკი რეალობიდან გაქცეული ახალგაზრდა, სწორედ, ლიტერატურასა და ჯაზში ჰპოვებდა ცხოვრების ხალისს და მშვენივრად ავლენდა საკუთარ შესაძლებლობებსაც.

კაპიტანი ვაკუშის პირველი წიგნში მწერალი შთამბეჭდავად, მისთვის ჩვეული მსუბუქი იუმორით, მოგვითხრობს, თუ როგორ აღმოჩნდა ჯაზის სამყაროში და როგორ ემზადებოდა ნებიერი მუსიკოსი სენიორ ტულიო მობილია ლამის კონცერტისთვის „კაკადუში“. ვაკუში, ჰანს გეორგი და ვოლფი ცდილობდნენ იდეალური პირობები შეექმნათ საპატიო სტუმრისთვის, რომელიც მათთან მდგმურად ცხოვრობდა. არ აკლებდნენ სიყვარულს, ყურადღებასა და „კაკადუდან“ თუნუქის ქვაბებით მოტანილ დელიკატესებს. რეალურად ეს ასე ნამდვილად არ ყოფილა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტულიო მობილია „კაკადუში“ არ მღეროდა, როცა იქ გერმანიაში ჩამოვიდა ეს ბარი უკვე დახურული, ან სადმე კერძო სახლში გადასული იყო. ეს ბოლო ინფორმაცია ფაქტებით დადასტურებული არაა, მხოლოდ გერმანელთა ვარაუდის დონეზეა ცნობილი. მეორეც, გივი მარგველაშვილი დაახლოებით 10 წლის იქნებოდა, როცა „კაკადუ“ დაიხურა. ამდენად, იგი იმხანად ლამის ბარში მეგობრებთან ერთად ვერ ივლიდა.

ვაკუშის სათაყვანებელი ტულიო მობილია (1911-1991), ცნობილი იტალიელი ჯაზმენი და ბენდის ხელმძღვანელი, უკრავდა საქსოფონსა და ვიოლინობზე. 30-იან წლებში ის იტალიაში ხელმძღვანელობდა ჯაზორკესტრს. 1940-43 წლებში ტულიო მობილია და მისი სეპტეტი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ბერლინში ბავარიული კვარტლის ლამის კლუბებსა და „როზიტა ბარში“, ხოლო 1943-44 წლებში იგი კვლავ იტალიაში დაბრუნდა. მრავალი წლის მანძილზე „ტულიოს რითმები“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში.

კაპიტანი ვაკუშის ერთი-ერთი მშვენიერი თავიდან „კაკადუში“ ვიგებთ, თუ როგორი აღტაცებულია დაახლოებით 15-16 წლის გივი მარგველაშვილი ტულიო მობილიას შემოქმედებითა და პიროვნებით. ცხადია, ნაციონალ-სოციალიზმის, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნებადართული არ იყო არასრულწლოვანის ლამის ბარებში სიარული და აკრძალული მუსიკის მოსმენა.

ვფიქრობთ, არც ემიგრანტი მამა, პროფესორი ტიტე მარგველაშვილი, იქნებოდა შვილის თავნებობით აღფრთოვანებული. მაგრამ, როგორც ტექსტი ცხადყოფს, თინეიჯერი გივი არის ბედნიერი და ალტაცებული. მას სენიორ ტულიო იმდენად ხიბლავს, რომ ნაწარმოებში ისიც კი გამოიგონა, თითქოს ჯაზმენმა იზრუნა ბიჭების ვარცხნილობაზე, თითქოს მან შეიტანა მისი მეგობრებისა და მის გარეგნობაში გამოაგნებელი ცვლილებები.

ნაწარმოებში მოთხრობილ შთამბეჭდავ ამბებში ბევრ რეალურ ფაქტს ამოვიკითხავთ, რომელთა შორის საყურადღებოა ის, რომ ტულიოსეული ვარცხნილობა და ჩაცმის სტილი მისაბაძი იყო არა მარტო ზრდასრულთათვის, არამედ გიმნაზიელთათვისაც, რომლებიც თვალს არ აშორებდნენ თავიანთ კუმირს და ფეხს უწყობდნენ მოდას.

რაც შეეხება „კაკადუს“, ეს პოპულარული ბერლინური ბარი კურფიურსტენდამის კუთხეში გაიხსნა დაახლოებით 1919 წელს და ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში ხელოვანთა და ცნობილ ადამიანთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. ეს ის პერიოდია, როცა ბერლინი ევროპის კულტურულ დედაქალაქად იქცა. 20-იან წლებში კი აქ თავი მოიყარა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ხელოვანებმა. ღამის ცხოვრებისა და პიროვნული თავისუფლების მაღალი ხარისხის გამო ბერლინი ახალგაზრდების საყვარელი ქალაქი იყო. „კაკადუს“, ბერლინის ერთ-ერთ ყველაზე დიდი ბარის, სტუმრები გართობის მოყვარული სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ და მას მეძავებიც კი არ აკლდა.

1933 წელს, ჰიტლერისა და ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, არსებითად შეიცვალა ცხოვრება ბერლინში. „კაკადუს“ ისტორიაც დასასრულს მიუახლოვდა. 1936 წელი მისი არსებობის ბოლო წელია. ოფიციალური ინფორმაციით ბარმა 1937 წლამდე იარსება. იქ მოღვაწე მუსიკოსებმა და შემსრულებლებმა კერძო ბინებში გადაინაცვლეს.² გივი მარგველაშვილის რომანიდან ვიგებთ, რომ „კაკადუ“ მეორე მსოფლიო ომის დროს იატაკქვეშ

² ინფორმაციის მოწოდებისთვის მაღლობას ვუხდი ანა მარგველაშვილს.

განაგრძობდა არსებობას. მწერალი მას თავის სოროდაც კი მოიხსენიებს „სასწაულებრივ გადარჩენილი“ ამ „საქეფო ადგილს“, სადაც ძირითადად ყმანვილკაცობა დადიოდა (მარგველაშვილი, 2005: გვ. 96-97).

ცხადია, ძალზე საინტერესოა, ნამდვილად ფუნქციონირებდა თუ არა „კაკადუ“ 1937-43 წლებში და იქ ნამდვილად მღეროდა თუ არა ტულიო მობილია. რა დოზით არის რომანში ნაჩვენები ისტორიული სინამდვილე? რეალური ფაქტები სჭარბობს მასში თუ მხატვრული გამონაგონი? ამ კითხვებზე პასუხი თავად მწერალს აქვს უპირველეს ყოვლისა. როგორც ის აღნიშნავდა, ვაკუში არაა მისი იდენტური. მასში ცოტაა ავტორი და მეტი პერსონაჟი ვაკუში. თბილისში, „ლოდინის ციხე-კოშკში“ გამოკეტილი გივი მარგველაშვილი, რომელიც საბჭოთა უშიშროების სამსახურის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ფრთხილობდა და შეგნებულად ურევდა ფაქტებსა და თარიღებს; არ წერდა პერსონაჟების სახელებსა და გვარებს; ლამაზ საბურველში ახვევდა უძძიმეს ისტორიულ ამბებს, პირადად ნანახსა და განცდილს. *კაპიტანი ვაკუშის* ის შთამბეჭდავი ნაწილი, რომელიც ჟაზის ღამეულ დღესასწაულებებზე მოგვითხრობს, მეტწილად ფიქციაა, ჯაზის მოყვარული ყმანვილი გივი მარგველაშვილის გამოგონილი მშვენიერი ამბავია, რაშიც ნამდვილი ის არის, რომ მწერალი სიცოცხლის ბოლომდე ჯაზით იყო გატაცებული და ბერლინში ომის დროს ნამდვილად არსებობდა მცირე შესაძლებლობა, ახალგაზრდები დიქსილენდური მუსიკით დამტკბარიყვნენ. მართალია, ჯაზს არ წყალობდნენ ნაცისტები და იგი აკრძალულიც იყო, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ადამიანები მაინც უსმენდნენ მას. მაგალითად 30-იან წლებში პოპულარობით სარგებლობდა ჰანს კარსტეს (1909-1971) ფოქსტროტი „მწვანე კაკადუში“ (გადარჩენილია 1936 წლის ჩანაწერი), რომელიც აუცილებლად ეცოდინებოდა ჯაზზე შეყვარებულ გივი მარგველაშვილს. მსგავსი მსუბუქი გასართობი მუსიკა რადიოში ნაცისტების მიერ ნებადართული იყო, რადგან მიაჩნდათ, რომ ის კარგ განწყობას უქმნიდა მსმენელს. „კაკადუ“ კი, როგორც ჩანს, ის იმდენად მოსწონდა ყმანვილ გივი მარგველაშვილს, ისევე როგორც ვირტუოზი ჯაზმენი ტულიო

მობილია, რომელიც 1940-43 წლებში ნამდვილად ბერლინში ცხოვრობდა და „როზიტა ბარში“ უკრავდა, ორივე მათგანი უკვდავყო თავის რომანში.

„კაკადუ“ ნაწარმოებში წარმოდგენილია როგორც ნაციონალ-სოციალისტურ დიქტატურის პერიოდში თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა თავშეყრის ადგილი, ბატონ მობლიას კი ავტორი „სარდაფის ნამდვილი სენსაციას“ უწოდებს და მის ყოველ სტუმრობას ბარში ფიურერის გამოსვლას ადარებს დიდ პარტიულ შეკრებაზე. მართალია, მობლიას ორკესტრის წევრები ძირითადად იტალიელები და ბერძნები იყვნენ. მაგრამ გივი მარგველაშვილის მიერ დახატული ორკესტრი, რომელიც ორი ზანგის, სამი ფრანგის, ერთი ჰოლანდიელისა და ერთი ბერძნისაგან შედგებოდა, მისი მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია. შავკანიანები ბენდში იმხანად წარმოუდგენელია. ცხადია, რეალურად არსებული ფაქტები მწერლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, მას სურს მკითხველს უჩვენოს გასული საუკუნის 30-40-იანი წლებში ემიგრანტი ბიჭის ცხოვრება ბერლინში, დიდ კულტურულ მეტროპოლიაში. ტულიო მობლიას თავბრუდამხვევი კონცერტები და „კაკადუს“ ამბები რომანში მეტაფორაა.

ბარ „კაკადუს“ ისტორია ტრაგიკულად დასრულდა. დაახლოებით 1944 წელს, მოკავშირეთა ჯარების მიერ ბერლინის დაბომბვისას, იგი სრულიად დაინგრა. ამჟამად მის ადგილას სადაზღვევო კომპანია „ალიანცის“ მრავალსართულიანი თანამედროვე შენობა დგას.

პიპოებს უწოდებს გივი მარგველაშვილი „კაკადუს“ მუდმივ ბინადრებს – მუსიკის თაყვანისმცემლებს და საკუთარ თავსაც მათ შორის მოიაზრებს. „კაკადუში“ არიან მღედრობითი პიპოებიც არიან, რომელთაც „გამომწვევად ეცვათ და ურცხვად ამზეურებდნენ თავიანთ დიქსილენდურ ატრიბუტებს“ (მარგველაშვილი, 2005: გვ. 162). პიპოებმა ყველაფერი იციან ჯაზისა და უდროო დროის შესახებ, ხოლო ჯაზ-ბენდის წყალობით „კაკადუ“ მთელი ღამე ბობოქრობს, ყველას ერთი უინი სჭირს და საყოველთაო ყიჟინაში არაფერი ისმის ერთი უმნიშვნელოვანესი ფრაზის გარდა: „თქვენს დროში ვერ ჩავეტევი“ (მარგველაშვილი 2005: 98). ნამდვილად ვერ ეტეოდნენ „კაკადუს“ სტუმრები იმ დროსა და სივრცეში, რომელიც მათ

ტოტალიტარულმა რეჟიმმა შეუქმნა. ხოლო ჯერ კიდევ ყმაწვილი გივი მარგველაშვილისთვის ნათელი იყო, თუ რა უფსკრული არსებობდა მის ისტორიულ სამშობლოს (სოციალისტური საქართველო), რეალურ სამშობლოსა (ნაცისტური გერმანია) და იმ წარმოსახულ სამყაროს შორის, რომელსაც ვირტუოზი ჯაზმენები და პოპოები ქმნიდნენ. ნაციონალ-სოციალიზმისა და სოციალიზმის ტოტალიტარულმა რეჟიმებმა ადამიანებს სრულიად ალუკვეთა ინდივიდუალური თავისუფლება. სწორედ ამ დროს მუსიკა და სენიორ ტულიო ნამდვილად წარმოადგენდა შვებას. „კაკადუ“ ხმაურიან სადგურის ბაქანს ჰგავდა, ხოლო „მატარებელი“, რომლის რეისი არც ერთ ოფიციალურ განრიგში არ იყო აღნიშნული და არც ერთ განაწესს არ ექვემდებარებოდა, დიქსილენდისკენ მიდიოდა (მარგველაშვილი, 2005: გვ. 99). ექსპრესის დიქსილენდისკენ სვლა ტექსტში ნაჩვენებია როგორც ტულიო მობილიასა და მისი სეპტეტის თავბრუდამგვევი კონცერტი. სოლო პარტიების დროს „კაკადუ“ განსაკუთრებით შედის ექსტაზში და მოგზაურობა გაუგონარი ტრიუმფით მთავრდება. გასაოცარ მხატვრულ ტილოს ქმნის გივი მარგველაშვილი, როცა ღამის ცხოვრებას აღწერს, თითქოს გესმის თითოეული ინსტრუმენტის პარტია და თვალნათლივ ხედავ „კაკადუში“ ომის დროს შექმნილ საზეიმო განწყობას, ზუსტად ისეთს, მშვიდობიანობის დროს რომ იყო.

რიტმი რიტმს სცვლიდა, მუსიკოსები საკრავებით ხელში პოდიუმიდან ჩამოდიოდნენ და სტუმრებში ერეოდნენ მაშხალებიანი პროცესიასავით. მაგიდებთან სოლო პარტიას არაკრავებდნენ. შიგადაშიგ ბლუზიც გაიჟღერებდა ხოლმე. მაესტრო და მისი დასი ძალ-ღონეს არ იშურებდა დამსწრე საზოგადოების აღსაგზნებად. ყველანი სახეგაღაჟღაჟებულნი და შეზარხოშებულნი ჩანდნენ. სამყარო უფრო მიმზიდველი ხდებოდა სენიორ მობილიას ცეცხლოვანი ხელოვნების გავლენით (მარგველაშვილი 2005: 102).

გივი მარგველაშვილის მიზანიც ისაა, რომ წარმოგვიდგინოს სამყარო და ადამიანები უკეთესი, ვიდრე სინამდვილეშია. ასეთი სამყარო დაგვიხატა მუდმივად „ლოდინის ციხე-კოშკში“ მცხოვრებმა მწერალმა „კაკადუში“, სადაც თავისუფლების მოყვარული ადამიანები მუსიკასა და ხელოვნებაში ეძიებენ და ჰპოვებენ ბედნიერებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- გავნიძე, ნ. (2020). „გივი მარგველაშვილი –საკუთარი თემიდან გაქცეული გმირი.“ კრიტიკა, № 15. რედაქტორი მანანა კვაჭანტირაძე, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 175-188.
- გავნიძე, ნ. (2017). „გივი მარგველაშვილი“, წიგნში: ნარკვევები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან. Studien zur deutschsprachigen Literatur nach dem Zweiten Weltkrieg. თბილისი: „სამშობლო“, 275-286.
- მარგველაშვილი, გ. (2005). კაპიტანი ვაკუში. წიგნი პირველი. გერმანიაში. ავტორიზებული თარგმანი გერმანულიდან კარლო ჯორჯანელისა. თბილისი: „კავკასიური სახლი“.
- ნემსაძე, ა. (2013). გივი მარგველაშვილის კაპიტანი ვაკუში. კრიტიკა № 8. რედაქტორი მანანა კვაჭანტირაძე, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 175-188.